

**სასწავლო პროცესში საგანთა ინტეგრირების დადებითი მხარეები**ხათუნა კაპანაძე<sup>1</sup>, ელისო მაწკეპლაძე<sup>2</sup><sup>1</sup>სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის ბიოლოგიის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი<sup>2</sup>ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი**ანოტაცია**

*მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ადამიანები სწავლობენ უკეთ, როცა ესა თუ ის საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ინტეგრირებული სასწავლო პროგრამებით მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს სთავაზობენ, შეხედონ ერთსა და იმავე საგანს, მოვლენას სხვადასხვა კუთხით, რაც მათ უადვილებს სამყაროს შეცნობას. სხვადასხვა დისციპლინის ინტეგრაციის შედეგად მოსწავლეები ხედავენ საგანთა შორის განსაკუთრებულ კავშირს. ინფორმაციის მოგროვება ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესს.*

*ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში, სულ მცირე, ორი საგნის მონაწილეობას. ინტეგრირებული გაკვეთილი საშუალებას გვაძლევს, ერთი და იმავე თემის ირგვლივ დავგეგმოთ და განვახორციელოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტეგრირებულ საგნებში მაღალი შედეგების მიღწევას.*

**საკვანძო სიტყვები:** გაკვეთილი, საგანი, ინტეგრირებული.

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ადამიანები სწავლობენ უკეთ, როცა ესა თუ ის საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ინტეგრირებული სასწავლო პროგრამებით მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს სთავაზობენ, შეხედონ ერთსა და იმავე საგანს, მოვლენას სხვადასხვა კუთხით, რაც მათ უადვილებს სამყაროს შეცნობას. სხვადასხვა დისციპლინების ინტეგრაციის შედეგად მოსწავლეები ხედავენ საგანთა შორის განსაკუთრებულ კავშირს. ინფორმაციის მოგროვება ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესს.

ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სულ მცირე ორი საგნის მონაწილეობას. ინტეგრირებული გაკვეთილი საშუალებას გვაძლევს, ერთი და იმავე თემის ირგვლივ დავგეგმოთ და განვახორციელოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტეგრირებულ საგნებში მაღალი შედეგების მიღწევას.

ჩრდილოეთ კაროლინის საჯარო სკოლებში მოსწავლეები სწავლობენ მათემატიკას და იკვლევენ მზის სისტემას თანამედროვე ცეკვების სწავლებასთან ერთად. ამ სკოლებში მასწავლებლები ყველა საგნის სწავლებას გეგმავენ ხელოვნებასთან ინტეგრირებულად, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს არამართო მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის... არამედ ხელოვნების საფუძვლიან სწავლა/სწავლებას.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, ყველა მოსწავლე აღწევს სტანდარტით გათვალისწინებულ მაღალ შედეგს.

ჩვენ (ქართული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის მასწავლებლებმა) მეთერთმეტე კლასში ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად შევარჩიეთ საგაკვეთილო თემა - „ჭამა ცხოვრებისათვის, თუ ცხოვრება ჭამისათვის“, რომელიც ერთდროულად დავუკავშირეთ ორივე მონაწილე საგანს.

გაკვეთილის ჩატარება მოიცავდა შემდეგ ეტაპებს :

➤ **თემისა და მიზნების სწორად შერჩევა. გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა ინტეგრირებული საგნის მასწავლებლების მიერ**

მოსწავლეებმა შეისწავლეს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, გამოიკვლიეს საკვებ პროდუქტებში შემავალი მნიშვნელოვანი ნივთიერებები, კალორიები.

გაკვეთილის მიზანი გახლდათ:

1. მოსწავლეებს უნდა დაესახელებინათ ლიტერატურულ ტექსტში აქტუალური პრობლემატიკა, იმსჯელათ ამ საკითხთან დაკავშირებით.
2. მათ უნდა გამოავლინათ ადამიანის საკვებ პროდუქტებში შემავალი მნიშვნელოვანი ნივთიერებები, განესაზღვრათ ჩამოთვლილი საკვები ნივთიერებების ფუნქციები და დიეტური კვების მნიშვნელობა.
3. მათ უნდა ესაუბრათ მარხვასა და მის მნიშვნელობაზე.

ვიხელმძღვანელებთ ეროვნული სასწავლო გეგმით, რომელშიც სწავლების საფეხურების მიხედვით მოცემულია ინფორმაცია შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ, აგრეთვე გავითვალისწინეთ კლასის შესაძლებლობები, მოსწავლეთა პროფილი, კლასის ძლიერი და სუსტი მხარეები.

➤ **გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო აქტივობების შერჩევა, რესურსების მობილიზება**

წინასწარ გავაანალიზეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ დავგეგმეთ გაკვეთილი, რადგან გაკვეთილის სასწავლო მიზნების მიღწევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ადეკვატური სტრატეგიების შერჩევა, ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმა. სასწავლო აქტივობები დავგეგმეთ ერთობლივად, სწავლება წარმართებოდა ორი გაკვეთილის ფარგლებში.

დავწოდებთ ყველა საგაკვეთილო აქტივობა, დეტალურად აღვწერეთ, მივუთითებთ დრო, რადგან დროის სწორი განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია გაკვეთილის წარმატებით განხორციელებისათვის.

საგაკვეთილო აქტივობების შერჩევისას მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოსწავლეთა მუშაობა ლიტერატორების, ბიოლოგების და რელიგიის ჯგუფებში. მოსწავლეებმა თვითონვე აირჩიეს რომელ ჯგუფში იმუშავენდნენ. თითოეულ მათგანს

დაევალა, შეესწავლა ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე საკითხები და მოეხდინა მათი პრეზენტაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მოსწავლეები ინტერესით მოეკიდნენ შეთავაზებულ დავალებებს. მათ მიერ განხილული საკითხები მოიცავდა ერთმანეთთან ორგანულ კავშირში მყოფი ინფორმაციის სათანადო ცოდნას, ლოგიკურ და ასოციაციურ დაკავშირებას, საერთო დასკვნის გაკეთების უნარს.

**ლიტერატორების ჯგუფში** გაერთიანებულმა მოსწავლეებმა ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ მიხედვით შექმნეს ლუარსაბ თათქარიძის სახე, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

**ბიოლოგების ჯგუფში** გაერთიანებული მოსწავლეები გაეცნენ ლუარსაბის ცხოვრების წესს, მისი კვების რეჟიმს და გააკეთეს დასკვნა: რატომ იყო ლუარსაბის სიცოცხლე ასე ხანმოკლე, რატომ გახდა მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ჭარბი საკვების მიღება. საინტერესო იყო აგრეთვე მოსწავლეთა მიერ ჩატარებული გამოთვლები, რომლითაც ლუარსაბისა და დარეჯანის საყვარელი კერძების - ბოზბაშის და ჩიხირთმის კალორიულობა შეისწავლეს. ასევე, სხეულის მასის ინდექსის აწარმოეს გამოთვლა ასამდე ბენეფიციარს შორის. დადგინდა მათი შესაბამისი კოეფიციენტები. კვლევის საფუძველზე განსაზღვრეს ბენეფიციართა სამი ჯგუფი: წონის ნაკლებობის, ოპტიმალური წონის და ჭარბი წონის მქონე ადამიანები. დაუკავშირეს ეს მონაცემები ადამიანის ჯანმრთელობას.

**რელიგიის ჯგუფში** გაერთიანებულმა მოსწავლეებმა მოაგროვეს ინფორმაცია ერთ-ერთ ცოდვაზე, ნაყროვანებაზე. მართლმადიდებლური რელიგიით აღიარებული ოთხი დიდი მარხვის სულიერ და ფიზიკურ მნიშვნელობაზე და გააკეთეს დასკვნა, რატომ არის საჭირო თავშეკავებისა და ზომიერების აუცილებლობის გაცნობიერებით - მარხვის შენახვა.


**გაკვეთილისთვის მოვიპოვეთ შემდეგი რესურსები:** კომპიუტერი, პროექტორი, ფლემ-მეხსიერება, ინტერნეტი, პრინტერი, ციფრული ფოტოაპარატი, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია; ტომი 9, მ.მუხიშვილი. დიდი საოჯახო ენციკლოპედია, რ.ხეცურიანი, თ კაციტაძე. ადამიანის ანატომია ფიზიოლოგიით და პათოლოგიით

➤ **გაკვეთილის ჩატარება**

1. გაკვეთილი დაიწყო პროვოცირებით. მოსწავლეებს ვაჩვენეთ ფოტო-მასალა, მათ უნდა ეპოვათ კავშირი ნაწარმოებსა და მიწოდებულ ფოტოებს შორის



ფანჯარა

**ქვევრი****მკითხავი****ცოდვები**

2. მეორე აქტივობა იყო გონებრივი იერიში, რომლის დროსაც მოსწავლეებმა უპასუხეს შემდეგ კითხვებს: რას ნიშნავს მოთხრობის სათაური „კაცია-ადამიანი?!“ რა არის, ილიას აზრით, „ნამდვილი მოყვრობა“? რას დასცინის ილია? ლუარსაბ თათქარიძის სახით ილია რომ საერთოქართულ მოვლენას გულისხმობდა, ეს მრავალგზის თვითონაც აღნიშნა „კაცია ადამიანში“. რას ამბობს ამის შესახებ ილია? რას ნიშნავს თათქარიძეობა?

რა ქონების პატრონია ლუარსაბი? როგორ ცხოვრობდა ჩვენი გმირი? როგორია კნენა დარეჯანი? რატომ ეჯავრება ლუარსაბს სტუმარი? რა იყო ლუარსაბისა და დარეჯანის საქმიანობა, როგორ ატარებდნენ ისინი მთელ დღეს? არისხებდა თუ არა ლუარსაბი ღმერთს?

3. ლიტერატორების ჯგუფმა წარმოადგინეს პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა ლუარსაბის გარეგნობასა და მის კარ-მიდამოს. მათ პრეზენტაციის ბოლოს აჩვენეს ფილმიდან „კაცია-ადამიანი?!“ ნაწყვეტი, სადაც ასახულია, როგორ ატარებდნენ ლუარსაბი და მისი მეუღლე, დარეჯანი დროს.

4. შემდეგი აქტივობა იყო ისევ გონებრივი იერიში, რომლის დროსაც გაირკვა, რატომ იყო ლუარსაბი ასეთი მსუქანი, როგორ იკვებებოდა იგი, რა შედიოდა ლუარსაბის მენიუში, რა როლს თამაშობს კვება ცოცხალი ორგანიზმების ცხოვრებაში, რომელი პროდუქტები შეიცავს კალორიებს, რა ემართება ადამიანს, თუ ის ჭარბი რაოდენობის კალორიებს იღებს, რატომ არის ჭარბი წონის პრობლემა მსოფლიოში, რა დაავადებებს იწვევს ჭარბი წონა

5. ბიოლოგიის ჯგუფის წევრებმა გააკეთეს პრეზენტაცია ადამიანის საკვებ პროდუქტებში მინერალური ნივთიერებების, ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების, კალორიების რაოდენობების შესახებ.

6. ისევ გონებრივი იერიშით ახსნეს მოსწავლეებმა, რატომ არის ნაყროვანება ცოდვა, რა არის მარხვა.

7. რელიგიის ჯგუფმა ისაუბრა ნაყროვანებაზე, როგორც სიბილწეთა დედაზე.

8. მოსწავლეებმა გამართეს დისკუსია: რატომ არ მისცა ილიამ ლუარსაბს შვილი... რა მანკიერი თვისება აღმოაჩინეს საკუთარ თავში ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ

**9. გაკვეთილის ბოლოს მოხდა შეფასება/თვითშეფასება**

გაკვეთილი შეაფასა განმავითარებელი შეფასებით გელათის საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმმა, თინათინ ჩაკვეტაძემ. გელათის მონასტრის მოძღვრმა მამა გიორგიმ.

ჩვენც და მოსწავლეებმა შევაფასეთ გაკვეთილი.

**10. განწყობის დაფიქსირება** (განწყობის ხეზე მოსწავლეებმა მიაკრეს პატარა ფურცლები, რომლებზეც წერილობით დააფიქსირეს თავიანთი განწყობა.

**➤ ჩატარებული გაკვეთილის შედეგების ანალიზი**

ინტეგრირებული გაკვეთილი საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეებმა შეძლეს დაესახელებინათ ლიტერატურულ ტექსტში აქტუალური პრობლემატიკა, იმსჯელეს ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ გამოავლინეს და არაჩვეულებრივად წარმოაჩინეს ადამიანის საკვებ პროდუქტებში შემავალი მნიშვნელოვანი ნივთიერებები, განსაზღვრეს ჩამოთვლილი საკვები ნივთიერებების ფუნქციები და დიეტური კვების მნიშვნელობა. ისაუბრეს მარხვასა და მის მნიშვნელობაზე.

გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, მათი სურვილი იყო, კიდევ ჩატარდეს ასეთი საინტერესო გაკვეთილები. ჩვენ ვთვლით, რომ სწავლა/სწავლების პროცესი გაადვილდა, ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ და კიდევ ერთი: მასწავლებლებმა ვითანამშრომლეთ და გამოცდილებაც გავუზიარეთ ერთმანეთს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=439](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=439)
2. <https://sites.google.com/site/elektronuli/sagnebis-integririba>
3. <https://sites.google.com/site/elektronuli/dagegmva-dokumentireba>